სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N146

ქ. ბაღდათი მაისი 2023 წელი

ერთი მხრივ, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის კახა ენუქიძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ.№9
საიდენტიფიკაციო კოდი:№225064471
საბანკო რეკვიზიტები: ერთიანი სახაზინო ანგარიში
ბანკის კოდი: TTREEGE22
ანგარიშის ნომერი:200122900

და მეორე მხრივ, ი.მ. "ივანე ჟღენტი" სახით (შემდგომში - მომწოდებელი),მისამართი:
საიდენტიფიკაციო კოდი: 18001000223
ტელეფონის ნომერი:595211233
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი:GE 14 BG 0000 0005 2878 6067

ვხელმძღვანელობთ რა „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის დ) პუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – "ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" – ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") – ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 "მიმწოდებელი" – ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ელექტრონულ ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
1.6. ,,საქონელი'' – ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგანი.
1.7. ,,ტექნიკური დავალება'' – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ბაღდათის მუნიციპალიტეტში სოფლის პროგრამის ფარგლებში სოფ. როხისათვის ერთი ერთეული შიდა მოხმარების ტრენაჟორის (თანმდევი მომსახურება) შესყიდვა კლასიფიკატორის (CPV) კოდი 37442900 – მრავალფუნქციური სატანვარჯიშო ტრენაჟორები.

2.2. შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხლშეკრულების ღირებულება შეადგენს 3850 (სამი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარს მომწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2. დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი 83.1%, ადგილობრივი ბიუჯეტი 16,9%.

3.3. წინმდებარე ხელშეკრულების ფასის შეცვლა დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2. შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლი, რომელიც აუარესებს მისი გამოყენების მაჩვენებელს.

3.3. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3.4. შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადათ განისაზღვრება არანაკლებ 6 თვე, რომლის განმავლობაშიც „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ან გარეშე ძალის ზემოქმედებით. ნაკლს მომწოდებელი აღმოფხვრის საკუთარი სახსრებით შეტყობინების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ვადა და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღე. 2023 წლის 9 ივლისის ჩათვლით.

4.2. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ადგილი: ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. როხი.

4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 მიღება–ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.3 შესყიდვის ობიექტის მიღებას აწარმოებს: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება და სოფ. როხის წარმომადგენელი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

6.2. შემსყიდველი იღებს ვალდბულებას გადაუხადოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ დაიშვება.

6.4. შუალედური ანგარიშწორება არ დაიშვება.

7. მხარეთა უფლება- მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულპირობებთან.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3. ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების, ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პასუხისმგებლობის გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
8.6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის ,,მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.
8.7.ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
10.2. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს

შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი სახელმწიფო შესყიდვით მიღებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების მიღება-ჩაბარების კომისია.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებულო ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირსთავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან,

13.5. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.6. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი.

13.7. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან 2023 წლის 9 აგვისტოს ჩათვლით.

შემსყიდველი: Kakha Enukidze Digitally signed by Kakha Enukidze Date: 2023.05.26 00:36:07 +04'00'

მომწოდებელი: Ivane Jgenti Digitally signed by Ivane Jgenti Date: 2023.05.25 11:52:50 +04'00'

საქონლის დასახელება	მახასიათებლები	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	წარმოშობის ქვეყანა	ბრენდი	მოდელი	გარანტია
შიდა მოხმარების ტრენაჟორი	ზომით 1810*470*215მმ	ცალი	1	3850	3850	ჩინეთი	იტალიური	MULTIGYM EVERFIT MSK 500	საქონლის მოწოდებიდან 6 თვე

მომწოდებლის ხელმოწერა: ----------